სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№1 (279) იანვარი, 2015 წ. www.tsmu.edu

ნომერში:

თვალის სნეულებათა დეპარტამენტში
გვ. 2

სტუდენტური თვითმმართველობის ანგარიში
გვ. 3

OSCE კლინიკურ ენდოდონტიასა და პროპედევტიკაში
გვ. 3

ოჯახის ექიმის პრაქტიკაში
გვ. 4

პროფესორი თეიმურაზ სილაგაძე – ექიმი შემოქმედი
გვ. 5

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია:
ვაჟა ფშაველას გამზირი №33; ოთახი №415
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
დალი გაგეშია
ტ.: 599 76-25-98
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29-98-27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17-08-47
ნატო გოლქვაძე
ტ.: 555 28-28-97
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

„ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“...

კვლავ შემობრძანდა შობის ბრწყინვალე დღესასწაული და ჭეშმარიტ ქრისტიანთა გულებშიც კიდევ ერთხელ იშვა უფალი. როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ილია II საშობაო ეპისტოლეთი შეგვახსენებს: **„მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა „სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვისა“** (ლუკა, 1,67) და დაემკვიდრა ჩვენს შორის (ინ. 1,14)... დამთავრდა ძველი აღთქმის ჟამი და აღსრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი – ყრმა იესო. ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფო ღირსებით იმოსება“.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ყოველთვის ცდილობს ყურადღება მიაპყროს უწმინდესის სიტყვას და მკითხველს გააცნოს მის ეპისტოლეებში გაბნეული ბრძნული რჩევა-დარიგება, რომელიც გასათვალისწინებელია ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის.

ნიშანდობლივია, რომ უწმინდესმა წლევანდელ საშობაო ეპისტოლეში ყურადღება გაამახვილა ქრისტიანულ ოჯახზე, რომელიც დაქორწინების აუცილებელი პირობის – სიყვარულის – გარდა, ეფუძნება ცოლ-ქმრის გაცნობიერებულ შეგნებულ ურთიერთობებს, მათი მოვალეობების სწორად და სათანადოდ გადანაწილებას; იგი შეეხო, აგრეთვე, იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლა, გლობალიზაცია და მატერიალისტური მსოფლმხედველობა აყენებს თანამედროვე ოჯახს; ასევე, ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის მავნე ზეგავლენას ოჯახის სიმტკიცეზე და სხვადასხვა მანკიერ თვისებასთან (რომელთა შორის დღეს განსაკუთრებით აქტუალურია აგრესია და ძალადობა) ბრძოლის აუცილებლობას. აღინიშნა, რომ დასაგმობია თვითმკვლელობა და აბორტი, რომელიც ძალადობის ყველაზე შემაძრწუნებელი სახეა.

ყველამ, – ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიც და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენ შორის დაბუდებული ცოდვა და მისი შედეგები – სიკვდილი – უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ, – ნათქვამია საშობაო ეპისტოლეში, რომელიც ოპტიმიზმითა და შობის მაცხონებელი სიხარულით აღსავსე სიტყვებით სრულდება:

„მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.** ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმიდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლნი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედა ღვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მოწყალებისა კარი, რათა მადლით აღავსოს ყველანი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი.

მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქმნეთ მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისგან განთავისუფლებულებმა აღმოვსთქვათ: **ემმანუელ – ჩვენთან არს ღმერთი!**

ახალი პროექტის მხარდასაჭერად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უერთდება ელიმინაციის კამპანიას – **„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“.**

როგორც ცნობილია, მალე დაიწყება C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის განხორციელება. ამ ვირუსით დაავადებულთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში ძალიან მაღალია. პროგრამა იქნება მასშტაბური, რადგან დაავადების მკურნალობა და სრული ელიმინაცია სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია. პროექტი სოციალურად დაუცველი ყველა ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

საერთაშორისო კონფერენცია

კლინიკური მედიცინის აქტუალური საკითხები განიხილებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია – „Seed of hope“-თან – ერთად ჩატარდა.

კონფერენციაზე განიხილეს მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროებში დაავადებათა ეტიოლოგიის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, კონფერენციის ორგანიზატორი **რებეკა კიმი** და **ჯეიმს ლიი**.

კონფერენციაზე პრეზენტაციებით წარდგნენ: დოქტორი **იანგ იუნ ჩოი** (ბოსტონის უნივერსიტეტი), დოქტორი **ლილი ს ლიუ** (ჰარვარდის უნივერსიტეტი), დოქტორი **მარგარეტ ვანგი** (ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი), **ჯუდი იანგი** (ტაფტის უნივერსიტეტი), დოქტორი **სტეფანიო ჩო** და დოქტორი **ვალენტინ ლიი** (ჰარვარდის უნივერსიტეტი).

საახალწლო საჩუქრებით



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა წინასაახალწლოდ **თსსუ-ის გივი ჟვანიას აკადემიურ პედიატრიულ კლინიკაში** ნორჩი პაციენტები მოინახულეს.

სასიხარულოა, რომ მშვენიერი ტრადიცია დღესაც გრძელდება და წელსაც კლინიკის პაციენტებმა გაიხარეს უფროსი მეგობრებისგან მიღებული საჩუქრებით.

ღვაწლი სნეულებათა დეპარტამენტში

მილოცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, თვალის კლინიკა „ახალი მზერას“ დირექტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ცნობილ ქართველ ოფთალმოლოგს, პროფესორ მერაბ დვალს, დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თვალის სნეულებათა დეპარტამენტი ულოცავს ღირსეულ იუბილარს მნიშვნელოვან თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს, ახალ მიღწევებს მოღვაწეობის იმ საინტერესო სფეროში, რომელსაც იგი ათეულწლობით თავდადებით ემსახურება. მისი წარმატებული საქმიანობის საუკეთესო შედეგი ხომ მრავალრიცხოვანი პაციენტის სიხარულით აღსავსე თვალებია, რომლითაც ისინი ამ სათაცარ სამყაროს უცქერიან.

მრავალთა თვალისჩინის დამბრუნებელს ხანგრძლივ ცხოვრებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებთ!

პირველი სამკურნალო აღნიშვნა ოფთალმოლოგიაში

მომავალი ოფთალმოლოგებისთვის

საპარტნიორო პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტს, **„მორენის თვალის ცენტრი“-ს (აშშ) ოფთალმოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, პროფესორი ჯეფ პეტი ენვია,** რომელმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტ-ოფთალმოლოგებისა და უმცროსი ექიმებისთვის **„კიტარო“ ვეტლაბ**-ის ტრეინინგი ჩაატარა.

„კიტარო“ ქირურგიის სასწავლო სისტემა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტს ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, **ედმონდ და პამელა დოშებმა**, საჩუქრად გადასცეს. **„კიტარო“ ვეტ ლაბი** – კატარაქტის ქირურგიის უნიკალური სასწავლო სისტემაა, განკუთვნილი დამწყები თვალის ექიმებისა და რეზიდენტებისთვის ქირურგიული უნარ-ჩვევების გასაღრმავებლად.

„კიტარო“-ს ხელოვნური თვალის სტრუქტურა მაქსიმალურად მიმსგავსებულია ადამიანის ბუნებრივ თვალთან. იგი სახის ნიღბის, ხელოვნური რქოვანას, ხელოვნური სკლერასა და ხელოვნური ბროლისგან შედგება, რომელზედაც შეიძლება ისეთივე მანიპულაციების ჩატარება, როგორც ბუნებრივ თვალზე რეალურ სიტუაციაში.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ბაზაზე 8 რეზიდენტ-ოფთალმოლოგი და 1 უმცროსი ექიმია. სწორედ მათ მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა, ადამიანის თვალთან მაქსიმალურად მიმსგავსებულ ხელოვნურ თვალზე ქირურგიული ტრენინგის გავლისა.

აღნიშნული სასწავლო პროგრამის და საქველმოქმედო აქციის შესახებ გავესაუბრეთ: **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ *მერაბ დვალს*, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, პროფესორ *ნინო კარანაძეს*, ასევე, რეზიდენტ ოფთალმოლოგებს: *შიო ჩიტიაშვილს, ნინო ჯანყარაშვილს*, უმცროს ექიმს – *ანა ვაჩიბერიძეს*, „ლაიონსების“ თვალის კლინიკის ექიმ ოფთალმოლოგს, *მილენა ნონიაშვილს* და „მორენის თვალის ცენტრი“-ს ოფთალმოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორს, პროფესორ *ჯეფ პეტს*.**

თსსუ-ის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ დვალი – პამელა და ედმონდ დოშების მიერ საჩუქრად გადმოცემული კატარაქტის ქირურგიის სასწავლო პროგრამა საუკეთესო საშუალებაა თვალის ექიმების და რეზიდენტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ვიტყვი, რომ ამჟამად ჩვენთან დიდი მნიშვნელობის აქცია ჩატარდა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არაერთი პრობლემაა თანამედროვე აპარატურის დანერგვა-გამოყენების თვალსაზრისით. ამ მიმართებით აქტიური მუშაობა ჯერ კიდევ განვლილ პერიოდში დავიწყეთ, დავსახეთ სამოქმედო გეგმაც, რათა ჩვენს რეზიდენტებს ინდივიდუალური აპარატურით სარგებლობის საშუალება ჰქონოდათ.

კატარაქტის ქირურგია ყველაზე ხშირი და ეფექტური ქირურგიული ჩარევაა თვალის სნეულებათა დროს.

სტატისტიკური მონაცემებით, წელიწადში საქართველოში კატარაქტის 14 000 ოპერაცია უნდა სრულდებოდეს, მაგრამ კვალიფიციური ქირურგების დეფიციტის გამო, შესაძლებელია მხოლოდ 8-9 000-ის ჩატარება. მსურს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს – პროფესორ **ჯეფ პეტს** და ცოლ-ქმარ **დოშებს** – მადლობა გადავუხადო აღნიშნული აქციის ორგანიზებისთვის. ისინი თავიანთი ხარჯებით ჩამოვიდნენ საქართველოში ახალგაზრდა ქართველი ექიმებისთვის ცოდნა-გამოცდილების გასაზიარებლად. ჩვენ კი ისევ ვაპირებთ თანამშრომლობის გაგრძელებას უცხოელ კოლეგებთან – გვსურს, ახალგაზარდა თაობამ გაცვლით პროგრამებში მიიღოს მონაწილეობა.

სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ნინო კარანაძე – თანამედროვე მსოფლიოში, სამედიცინო განათლების მოთხოვნით, ტექნიკური მანიპულაციების სწავლება და დახვეწა აუცილებელია სიმულატორების საშუალებით მოხდეს, რათა შემდგომ ოფთალმოლოგს პაციენტთან მისვლის უფლება მიეცეს. მსგავსი სიმულატორის საჩუქრად გადმოცემა და საქართველოს მასშტაბით ოფთალმოლოგიაში პირველი საერთაშორისო ტრეინინგის ჩატარება, ნამდვილად საამაყოა. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტებს, მომავალ ოფთალმოლოგებს საშუალება მიეცათ ამ მიმართულებით მზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაიარონ. ამჟამად ტრეინინგი ჩატარდა თანამედროვე ოფთალმოლოგიური აპარატურით აღჭურვილ **„ლაიონსების“ თვალის კლინიკაში**, რისთვისაც მსურს დიდი მადლობა გადავუხადო მის ადმინისტრაციას.

„მორენის თვალის ცენტრი“-ს ოფთალმოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, პროფესორი ჯეფ პეტი – ჩვენი ფონდის საშუალებით, რომლის წარმომადგენლებიც მე და ჩემი მეუღლე ვართ, ვცდილობთ, არაერთი საინტერესო პროექტი განვახორციელოთ. ხშირად ვატარებთ სხვადასხვა სახის ტრენინგს, რომელიც მხედველობის გაუმჯობესების საკითხებს ეხება. შობის წინა პერიოდში კი ჩვენმა ეკლესიამ საქართველოში მოგვიწვია, ამიტომაც ჩამოვედით ამ პროექტის განსახორციელებლად. მადლობა ქართველ ხალხს გულწრფელი და სასიამოვნო მასპინძლობისთვის. რაც შეგვეხება ჩვენ, ვმუშაობთ ამერიკაში, მსოფლიოს წამყვან თვალის ცენტრში; ჩვენში ოფთალმოლოგია ძალიან პრესტიჟული სპეციალობაა. წელს, მაგალითად, რეზიდენტურაში გამოყოფილ სამ ადგილზე, 470 განაცხადი იყო შემოტანილი.

მიყვარს ჩემი საქმე, ახალგაზრდებთან მუშაობა, ვცდილობ მომავალ ექიმებს შევასწავლო ქირურგისთვის საჭირო უნარ–ჩვევები. მიხარია, რომ ქართველმა რეზიდენტებმა ამერიკელ თანატოლებზე სწრაფად მოახერხეს მიცემული დავალების შესრულება.

აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩვენმა ეკლესიამ, ქველმოქმედების სახით, თქვენს რეზიდენტებს გადასცა აპარატურა, რაც ამიერიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის მფლობელობაში იქნება.

რეზიდენტი ოფთალმოლოგი შიო ჩიტიაშვილი – ამერიკის მორენის თვალის ცენტრის წარმომადგენელმა, პროფესორმა **ჯეფ პეტიმ**, თსსუ-ის რეზიდენტებს მეტად საჭირო ტრეინინგები ჩაგვიტარა. თითქმის ყველა რეზიდენტმა მიიღო მასში მონაწილეობა. შევასრულეთ მანიპულაციები და ამ სისტემის გამოყენებით გავიარეთ იგივე ეტაპები, როგორც მსგავს რეალურ სიტუაციაში ხდება.

რეზიდენტი ოფთალმოლოგი ნინო ჯანყარაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტები კმაყოფილები და მადლობლები ვართ პროფესორ **ჯეფ პეტის** და საქველმოქმედო ორგანიზაციისა, რომელმაც გადმოგვცა აპარატურა და საშუალება მოგვცა, ავითვისოთ უახლესი ქირურგიული უნარ-ჩვევები. პროფესორმა **პეტიმ** გაგვიზიარა კატარაქტის ქირურგიული ოპერაციის ჩატარების ტაქტიკა, რასაც მომავალში აუცილებლად გამოვიყენებთ.

უმცროსი ექიმი ანა ვაჩიბერიძე – მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ პირს, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა, გავცნობოდით იმ სიახლეებს, რასაც მსოფლიოში ყველა წარმატებული რეზიდენტი იყენებს. ეს არის ნაბიჯი წინსვლისკენ, რომელიც აუცილებლად სასიკეთოდ იმოქმედებს დარგის განვითარებაზე.

„ლაიონსების თვალის კლინიკის“ ექიმი ოფთალმოლოგი მილენა ნონიაშვილი – მინდა ვთქვა, რომ კეთილი შურით მშურს იმ რეზიდენტებისა, რომლებსაც ამჟამად მიეცათ სიახლეების გაცნობის შესაძლებლობა. ვულოცავ მათ და წარმატებებს ვუსურვებ თავიანთ საქმიანობაში. მიხარია, რომ მომავალ თაობას, თავიანთი უფროსი კოლეგების დახმარებით, აქვთ საშუალება გაეცნონ და დაეუფლონ იმ სიახლეებს, რაც, თუნდაც, ორი წლის წინ, საოცნებო იყო.

საქველმოქმედო აქცია

მხედველობაშეაჯვეთებულთა სკოლაში

ჩიტიაშვილი, ნათია ბეროშვილი, ნინო ჩიხლაძე და ანა ვაჩიბერიძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი **ნინო კარანაძე** და **„მორენის თვალის ცენტრის“** (აშშ) ოფთალმოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, პროფესორი **ჯეფ პეტი,** ქველმოქმედი ცოლ-ქმარი **დოშები** დედაქალაქის 202-ე საჯარო სკოლის მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეებს ეწვივნენ. გასინჯვაში მონაწილეობდნენ აღნიშნული დეპარტამენტის რეზიდენტები: **შიო** აღნიშნული სკოლის აღსაზრდელების მიმართ თანადგომას იჩენენ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, უცხოური საქველმოქმედო ორგანიზაციები თუ კერძო პირები. მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს, გარდა სიბრმავისა, აღენიშნება შაქრიანი დიაბეტი, პერვაზიული აშლილობები, ღრმა და მსუბუქი ფორმის გონებრივი ჩამორჩენა, ჰიდროცეფალია, ცერებრული დამბლა.

სტუმრებმა, ქართველმა ოფთალმოლოგებმა, 45 მოსწავლეს ჩაუტარეს ოფთალმოლოგიური გამოკვლევა და დაინიშნა კიდეც შესაბამისი მკურნალობა.

ბოლოს, სტუმრებმა: პროფესორმა **ჯეფ პეტმა, ედმუნდ და პამელა დოშებმა** საჩუქრები გადასცეს სკოლის აღსაზრდელებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, **მიხეილ დიაკონიძემ,** თსსუ-ის სახელით, სკოლის აღსაზრდელს საჩუქრად ინვალიდის ეტლი გადასცა.

მოამზადეს მანანა ფხალაძემ
და დარეჯან კომლაძემ

სტუდენტური თვითმმართველობა ორი წლის ანგარიშით

ჩვენი გაზეთის საშუალებით არაერთხელ გვიამბია თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროექტის თუ ღონისძიების შესახებ, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის სტუდენტები.

დეკემბრის ბოლოს სტუდენტური თვითმმართველობა ანგარიშით წარდგა თსსუ-ის რექტორატის, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის და სტუდენტების წინაშე.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, **კახა აბულაძემ** სტუდენტების სახელით მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესურას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, თვითმმართველობის ყოფილ თუ ამჟამინდელ წევრებს და აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წარმატებული საქმიანობა უნივერსიტეტის ყველა სამსახურის უპირობო თანადგომისა და მხარდაჭერის შედეგია. შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა სტუდენტური ცხოვრების ეფექტიანად და საინტერესოდ წარმართვაში, მადლობის სიგელები გადაეცა.

სტუდენტური ცხოვრების ფოტოტრანსფერი

ოჯახი

სახელოვანი 82...

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფარმაციის დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, **დურმიშხან ტურაბელიძე**, 82 წლისაა.

იგი დაიბადა 1933 წლის 5 თებერვალს ქალაქ ქუთაისში. თბილისში რვა კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ფარმაცევტულ ტექნიკუმში, შემდგომ – პიატიგორსკის ფარმაცევტულ ინსტიტუტში. აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებაში; იყო რუსეთის ჩემპიონი მძლეოსნობაში; შრომითი საქმიანობა დაიწყო ქლუხორში, აფთიაქის გამგის მოადგილედ; შემდეგ მუშაობა გააგრძელა საქართველოს მთავარ სააფთიაქო სამმართველოში.

1962 წლიდან დღემდე ბატონი დურმიშხანი მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. ადრეულ წლებში ხელმძღვანელობდა ლაქტონური შენაერთების, ხოლო 2006 წლიდან – ლიპიდებისა და ანტრაქინონების ლაბორატორიას. იგი არის ბუნებრივ ნაერთთა კვლევის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი; აქვს ღრმა თეორიული ცოდნა და ექსპერიმენტატორის ბრწყინვალე თვისებები. მისი კვლევის შედეგები ასახულია 80 პუბლიკაციაში, რომელიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში. მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია. მის მიერ შემუშავებულია ფსორიაზის სამკურნალო საშუალება – „ფსორანტრონი“ და „ფსორანტრონ-C“, რომელიც დანერგილია სამედიცინო პრაქტიკაში. მრავალი წლის განმავლობაში იყო სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს სწავლული მდივანი; პარალელურად მუშაობდა საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციის სამეცნიერო განყოფილების გამგედ. მისი თანადგომით და ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი.

ბატონი დურმიშხანი არის სანიმუშო მეოჯახე, მეუღლე, მამა და ბაბუა. გამოირჩევა გულთბილი, მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულებით, სარგებლობს პატივისცემითა და სიყვარულით თანამშრომელთა შორის. ღვაწლმოსილი მეცნიერი კვლავინდებური შემართებით აგრძელებს მრავალმხრივ მოღვაწეობას.

ხანგრძლივ და ნაყოფიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ დურმიშხანს ქვეყნის სასიკეთოდ.

თსსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა

თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, კლინიკურ ენდოდონტიასა და პროპედევტიკაში ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) ჩატარდა, რომლის საშუალებითაც შეფასდა სტუდენტთა პრაქტიკული, მსჯელობის და ლოგიკური აზროვნების, კომუნიკაციის, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების უნარები. განსხვავებით წინა წლებისგან, გამოცდა თორმეტ საგამოცდო სადგურს მოიცავდა. წლევანდელ გამოცდას აფასებდა ოდონტოლოგიის დეპარტამენტის შვიდივე წევრი და თოთხმეტი მოწვეული პედაგოგი.

OSCE-ის გამოცდის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ იგი სტუდენტთა ცოდნის შეფასების ყველაზე თანამედროვე და ჭეშმარიტად ობიექტური მეთოდია.

ოჯახის ექიმის პოლიკლინიკაში

ეძღვნება გამოჩენილი დერმატოლოგის, პროფესორ ზურაბ ბენდელიანის ხსოვნას

შავი აკანტოზი

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ექიმების დაინტერესება შავი აკანტოზის მიმართ. ამაზე მიუთითებს 2008-2014 წლებში მსოფლიო სამედიცინო ჟურნალებში გამოქვეყნებული 364 სტატია (**ა. ისაკაძე, გ. კერვალიშვილი**, 2015 წლის იანვარი).

სამწუხაროდ, პრაქტიკოს ექიმთა უმრავლესობა ნაკლებად იცნობს შავ აკანტოზებს. ეს, პირველ რიგში, ეხება ოჯახის ექიმებს, რომლებიც პირველად ღებულობენ ამ ჯგუფის პაციენტებს.

რა არის შავი აკანტოზი? **ფიცპატრიკის** (2009 წ.) განმარტებით, შავი აკანტოზი არის ჰიპერპიგმენტური (ყავისფერი ან შავი), ხავერდისმაგვარი ჰიპერკერატოზი, რომელიც უფრო გვხვდება კანის ბუნებრივი ნაოჭების ადგილებზე, იღლიებზე, კისრის, ჭიპის, შორისის, ანო-გენიტალურ მიდამოში და სხვა. არჩევენ კეთილთვისებიან და ავთვისებიან შავ აკანტოზებს.

პრაქტიკაში ვხვდებით თანდაყოლილ და შეძენილ შავ აკანტოზებს (**ფიცპატრიკი**).

თანდაყოლილ, კეთილთვისებიან შავ აკანტოზებს ვხვდებით ბავშვობის ასაკში და სქესობრივი მომწიფების დროს, როცა ენდოკრინოპათიები გამოხატული არ არის (ქ. ნათმელაძე, 2012 წ; ინტერნეტიდან).

შეძენილ კეთილთვისებიან შავ აკანტოზებს ვხვდებით ინსულინდამოუკიდებელი მეორე ტიპის დიაბეტის, სიმსუქნის, საკვერცხეების პოლიკისტოზის, ანდროგენების სიჭარბის, გიგანტიზმის, აკრომეგალიის, კუშინგის სინდრომის, ჰიპოგონადიზმის, ჰიპოთირეოზის დროს (ფიცპატრიკი, 2009).

კეთილთვისებიან შავ აკანტოზს ვხვდებით ზოგიერთი მედიკამენტის (ნიკოტინის მჟავას დიდი დოზების, გლუკოკორტიკოსტეროიდების, დიეტილსტილბესტროლის და სომატოტროპინების) ხანგრძლივი მიღების დროს.

შავი აკანტოზის ავთვისებიანი ფორმები გვხვდება: კუჭ-ნაწლავის, უროგენიტალური ორგანოების ადენოკარცინომების დროს, იშვიათად – ლიმფომების შემთხვევაში.

ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში, თსსუ-ის ბეჭდვითი ორგანოს – „სამედიცინო გაზეთის“ 2012 წლის მაისის ნომერში პირველად გამოვაქვეყნეთ შავი აკანტოზის შემთხვევის აღწერა თანდაყოლილი გენეტიკური დაავადების – აქონდროპლაზიის დროს, რომელიც შეუღლებული აღმოჩნდა იშვიათი ფორმის სიმსუქნესთან (პრადერი-ვილის სინდრომთან, თ-უჯრედულ იმუნოდეფიციტთან და მძიმე შეკრულობასთან.

№1 სურათზე წარმოდგენილია 18 წლის გოგონა ნანიზმით (სიმაღლე 110 სმ.), თავისებური სიმსუქნით, პრადერი-ვილის სინდრომით, მძიმე შეკრულებით და ოლიგოფრენიით. მას გამოხატული ჰქონდა კისრის ლატერალურ ზედაპირზე შავი აკანტოზი (**სურათი № 2**).





2005-2013 წლებში ჩვენ ვაკვირდებოდით ადისონის დაავადებით შეპყრობილ ორ ავადმყოფს მალაბსორბციის სინდრომით (დიარეით), ფიზიკური და ფსიქიური დაუძლურებით, შრომისუნარიანობის სრული შეწყვეტით, არტერიული ჰიპიტონიით და შავი აკანტოზით (ერთ შემთხვევაში ავადმყოფს კანის ჰიპერპიგმენტაციის ფონზე გამოხატული ჰქონდა დეპიგმენტური უბნები (ვიტილიგო). სისხლში რკინის კონცენტრაცია აღმოჩნდა ნორმის ფარგლებში, ხოლო კორტიზოლის დონე – მნიშვნელოვნად დაქვეითებული (**სურ.3**).

ორივე ავადმყოფს ჩაუტარდა ინტენსიური მკურნალობა კორტიზონით, ანტიდიარეული პრეპარატებით, ამინომჟავების, ელექტროლიტების ხსნარებით, დამაკმაყოფილებელი შედეგით. ამჟამად ორივე ავადმყოფს აქვს ხანგრძლივი რემისია, მომატებულია სისხლის არტერიული წნევა და, რაც მთავარია, მათ შეუწყდათ დიარეა, აღუდგათ შრომისუნარიანობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ჰიპერპიგმენტური უხეში ხავერდისმაგვარი მუქი კანი დარბილდა, უფრო გაღიავდა და სხვა.

ჩვენ (**ხ. პაჭკორია, ო. გოგიბერიძე, ქ. ნათმელაძე**, 1983 წ.) გამოვავლინეთ ავადმყოფი მეორადი ჰიპოკორტიციზმით (ამენორეით, ჰიპითირეოზით, არტერიული ჰიპოტონიით, თმისცვენით – თავზე, წარბებზე, იღლიებზე, ბოქვენზე და ძილიანობით). ანამნეზში მას 30 წლის წინ – ავადმყოფს პირველადი ჰიპოკორტიციზმის (ადისონის დაავადების) მსგავსად, ჰქონდა ე. წ. ბრინჯაოსფერი კანი – ჰიპერპიგმენტაციით, ჰიპერკერატოზით, რაც არ ახასიათებს მეორად ჰიპოკორტიციზმს (შიჰენის სინდრომს) (**სურათი 4**).

ჩვენ (**ხ. პაჭკორია, ო. გოგიბერიძე**) გამოვლენილი გვაქვს შიჰენის სინდრომის მშობიარობისშემდგომი პოსტმენორაგიული ჰიპოპიტუტარიზმის 12 შემთხვევა. აქედან მხოლოდ ერთს ჰქონდა ჰიპერპიგმენტური კანი, ხოლო დანარჩენს – მკრთალი.

მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში ჩვენ არ შეგვხვედრია შიჰენის სინდრომის შემთხვევა ჰიპერპიგმენტური კანით (შავი აკანტოზით); (**ა. ისაკაძე, ქ. ნათმელაძე, გ. კერვალიშვილი**, ინტერნეტიდან, 2015 წ. იანვარი).

ჩვენ (**ხ. პაჭკორია, ე. ადამია**) შეგვხვდა ავადმყოფი ქალი სკლეროდერმიის (სისტემური სკლეროზის) დიაგნოზით. მას დამატებით ჰქონდა შავი აკანტოზი, რაც კარგად ჩანს **№5 სურათზე**.

№6 სურათზე კარგად ჩანს კისრის ლატერალურ მიდამოში ხავერდისმაგვარი ჰიპერკერატოზი.

დასასრულ შევეხებით შავი აკანტოზის ავთვისებიან ფორმებს.

№6 სურათზე კარგად ჩანს 73 წლის პაციენტი შავი აკანტოზით, რომელსაც გასტროდუოდენოფიბროსკოპიით და ბიოპტატის ჰისტომორფოლოგიური შესწავლით აღმოაჩნდა კუჭის ადენოკარცინომა (**თ. დეკანოსიძე, ი. თავზარაშვილი, ხ. პაჭკორია, ლ. ძნელაძე**, 1986 წელი). ავადმყოფი გასინჯა პროფესორმა თ. ახმეტელმა და საჭიროდ ჩათვალა ოპერაციის (გასტრექტომიის) გაკეთება, რაზეც ავადმყოფი და მისი ახლობლები არ დათანხმდნენ. რამდენიმე თვეში ავადმყოფი გარდაიცვალა.

ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში პროფესორებს: **გ. ბოჭორიშვილს, თ. ახმეტელს, გ. გვასალიას** და **ლ. ძნელაძეს** (1976-1989) წლებში გამოვლენილი ჰყავდათ ინოპერაბელური და ინკურაბელური პაციენტები კუჭის ადენოკარცინომით – შავი უხეში ჰიპერკერატოზებით (სავარაუდოდ, შავი აკანტოზით).

თსსუ-ის ცენტრალური კლინიკის თერაპიულ სტაციონარში 2008 წელს იწვა ავადმყოფი კანის დიფუზური ჰიპერპიგმენტაციით, გაუხეშებული, ხავერდისმაგვარი ჰიპერკერატოზით, რაც კარგად ჩანს **№7** და **№8 სურათებზე** – ზურგზე და მუცლის წინა ზედაპირზე (მკურნალი ექიმი **ც. კონცელიძე**). დიაგნოზი დიდხანს გაურკვეველი იყო, საბოლოოდ კი ეჭვი მიტანილი იქნა შავ აკანტოზზე (**ხ. პაჭკორია**), რაც დაადასტურა დერმატო-ვენეროლოგმა, პროფ. **ზ. ბენდელიანმა**. შემდეგში ავადმყოფს აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე – მარცხენა საკვერცხის ადენოკარცინომა.

2008 წელს თსსუ-ის ცენტრალურ კლინიკის ამბულატორიას მიმართა ავადმყოფმა, რომელსაც, კუჭის წყლულთან ერთად, აღმოაჩნდა შავი აკანტოზი, რაც კარგად ჩანს **სურათზე №9** კისრის ლატერალურ ზედაპირზე (ხავერდისმაგვარი, მუქი ყავისფერი ჰიპერკერატოზი). კუჭის ლორწოვანის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევით აღმოჩნდა ლიმფომა. ავადმყოფმა მაშინ ოპერაციაზე უარი განაცხადა. სავარაუდოდ, მისი შემდგომი ბედი უცნობია.

ამრიგად, ჩვენ მიერ გამოვლენილია შავი აკანტოზის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი ფორმები. ზოგიერთი მათგანი პირველადაა აღწერილი (**შიჰენის სინდრომის და სკლეროდერმიის** სისტემური სკლეროზი) დროს.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი სტატია დაეხმარება ოჯახის ექიმებს ეჭვი მიიტანონ შავი აკანტოზის დიაგნოზზე და დერმატოლოგებთან, ონკოლოგებთან ერთად დაადასტურონ ეს მძიმე დიაგნოზი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შავი აკანტოზის ავთვისებიანი ფორმების დროულ გამოვლენას, რაც საშუალებას იძლევა ნაადრევი ოპერაციით გადარჩეს ავადმყოფი.

იმედია, ჩვენი სტატია დაინტერესებს თსსუ-ის სტუდენტებს – მომავალ ექიმებსაც.

ხ. პაჭკორია, ა. ისაკაძე,
მ. თევზაძე, ე.ადამია,
ლ. ძნელაძე, გ. კერვალიშვილი.

საინტერესო ფაქტები



ატომი სტრუქტურით სხვა არაფერია, თუ არა 99,9999999%-იანი სრული სიცარიელე. თუ ამ სიცარიელეს ბოლომდე მოვაშორებთ, მაშინ მთელი კაცობრიობა შაქრის ერთ პატარა ნატეხში მოთავსდება.

***

მთელი ჩემი ბავშვობა ცას ვუყურებდი და ვარსკვლავებს ვითვლიდი, ძალიან მაინტერესებდა, მართლა რამდენი იყო... უნივერსიტეტში კიდევ უფრო მეტად დავინტერესდი, ვარსკვლავები უფრო მეტი იქნებოდა ჩვენს გალაქტიკაში თუ სინაფსები თავის ტვინში?

აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი საოცრება ისევ ჩვენშია – სინაფსების რაოდენობა (125 ტრილიონი) გაცილებით მეტია, ვიდრე „ირმის ნახტომში“ („იერუსალიმის გზა“) ვარსკვლავების რიცხვი (400 მილიარდი). სხვაობა სამჯერადია! ყველაზე დიდ გალაქტიკაშიც კი (IC 1101) 100 ტრილიონ ვარსკვლავზე მეტი არაა, ტვინი ამასაც უკან ჩამოიტოვებს!

***

გსმენიათ პირფეხიანებზე?

პირფეხიანებს, ანუ სტომატოპოდებს, ადამიანის ორგანიზმში არსებული სხვადასხვა სიმსივნის დანახვა და ჯანსაღი ქსოვილისგან მათი გარჩევა შეუძლიათ! ასეთი ხარისხის ვიზუალიზაცია კტ-ს ან მრტ-საც კი არ აქვს! მათი წყალობით, სპეციფიური ნანოკამერები იქმნება სიმსივნეების ადრეულ სტადიაში გამოსავლენად.

***

ემბრიოლოგიაც კი ქალბატონებისკენაა! ყველა ემბრიონი დასაწყისში მთელი ერთი თვე მდედრობითი სქესისაა, მხოლოდ მე-4 ან მე-5 კვირაზე იწყებს Y ქრომოსომა აქტივაციას და, როგორც იქნა... ემბრიონის მამრობით სქესად ჩამოყალიბებას!

***

ბევრმა არ იცის, რომ ქართულში ყველაზე გრძელი სიტყვაა სამედიცინო ტერმინი ელექტროენცეფალოგრაფია, მასზე კიდევ უფრო გრძელია პნევმონოულტრამიკროსკოპოსილიკოვოლკანონკონიოსიზმი, უფრო მარტივად, – ფილტვების დაავადება – სილიკოზი.

***

ყველამ იცის, რომ ხანგრძლივი ბანაობის შემდეგ თითები ნაოჭდება. არ იფიქროთ, რომ ეს დაკავშირებულია წყლის ან წყლით აბსორბციასთან, უჯრედების გამოშრობასთან ან შეშუპებასთან! არა, ის ნაოჭდება იმიტომ, რომ ნერვული სისტემა ცდილობს წყალში ყოფნისას გაზარდოს თითების შემხები ზედაპირი (საუკეთესო ჩაჭიდებისთვის). ეს ევოლუციის მინიატურული გამოვლინებაა! მაგალითად, ადამიანებს, რომლებსაც საშუალო იდაყვის ან სხივის ნერვის დამბლა აქვთ, თუნდაც მთელი თვე იყვნენ წყალში, კანი არ დაუნაოჭდებათ!

მოამზადა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა
გიორგი ღოღობერიძემ

ეკიმის შემოქმედებიდან

გიორგი

შუაღამე გადასული იყო, როდესაც გიორგი კარვიდან გამოვიდა. გაზაფხული იყო და ღამით საკმაოდ ციოდა. ფართო მხრებზე მოგდებული მოსასხამი მჭიდროდ შემოიხვია და ბანაკს გადახედა.

ბანაკს მშვიდად ეძინა, შუბებზე დაყრდნობილ გუშაგებსაც უჭირდათ ძილისთვის თავის გართმევა.

გიორგიმ ცას შეხედა – ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი; როგორც ჩანს, მზიანი დღე გათენდებოდა. კარავთან ახლოს, კუნძზე ჩამოჯდა, რომელიც სკამის მოვალეობასაც ასრულებდა. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ასეთ დროს ადამიანს მთელი ცხოვრება წარმოუდგება ხოლმე თვალწინ.

ბავშვობა გაახსენდა, ფელში გატარებული ბედნიერი დღეები, შემდეგ მეფეთა სამსახური, სიმონ დიდთან და გიორგი მეათესთან გადახდილი ბრძოლები და, ბოლოს, – ტაშისკარი. ტაშისკარის გახსენებაზე სახიდან ღიმილი ჩამოერეცხა, უსიამოვნო მოგონებები წამოეშალა: რატომ ხდება ასე, ადამიანები, რომელთა გულისთვის თავი არ დაგიზოგავს, სიცოცხლეც არაერთხელ შეგიგდია სასწორზე, მოულოდნელად გაგწირავენ, ყველა გაკეთებულ სიკეთეს დაივიწყებენ და დედაბუდიანად ამოწყვეტას დაგიპირებენ?

– კარგი რა, ისე წუწუნებ, თითქოს შენ თვითონ მამა აბრამის ბატკანი იყო.

გიორგი გველნაკბენივით წამოხტა, მიმოიხედა, ირგვლივ არავინ ჩანდა, მერე ჩამოჯდა და ზიზღნარევი ხმით ჩაილაპარაკა:

– ისევ შენ ხარ?

– ხო, მე ვარ.

– რატომ თავს არ დამანებებ?

– არ მიპასუხო და დაგანებებ.

– რაზე არ გიპასუხო, ცილისწამებაზე? ერთი რამე მაინცა თქვი მართალი.

– ზოგს სიმართლე ისა ჰგონია, რისი მოსმენაც სიამოვნებს. შენც იმნაირი ხარ.

– რა არ არის მართალი? ცოტა ვემსახურე სიმონსა თუ გიორგის, ან იქნებ ლუარსაბისთვის არ გადამიდვია თავი, ან იქნებ ჩემს მამა-პაპას დაუკლია ერთგულება ბაგრატიონთათვის?

– კი, ემსახურე, მაგრამ არცთუ უანგაროდ. სიმდიდრე და ქონება არ დაგკლებია, ყმა და მამული, სახელი და დიდება. უბრალო აზნაურები უმდიდრეს თავადებად იქეცით, მაგრამ შენი გული ვერ აივსო და სულ უფრო და უფრო მეტი გინდოდა.

– განა გავლენასა და სიმდიდრეს ისევ მეფესა და ქვეყანას არ ვახმარდი?

– განსაკუთრებით ლუარსაბს მოახმარე, – ჩაიქირქილა ხმამ.

– არც ლუარსაბს დავაკელი ერთგულება, – აფეთქდა გიორგი, – ჩაიგდებდნენ ხელში ოსმალები, ტაბახმელაში, უდარდელად ტახტზე წამოწოლილს და სამარცხვინო ტყვეობა არ ასცდებოდა. ჰოდა, იმის მაგიერ, რომ ბორკილდადებული ჩაეყვანათ ისტამბულს, ბრწყინვალე გამარჯვება მოვაპოვებინე ტაშისკართან.

– მისი სიძეობა გინდოდა და იმიტომ.

– მასე ყველაფერს შეიძლება მიზეზი მოუგონო. აბა, ის იყო კარგი, უცოლშვილოდ რომ გადაეგო და ქვეყანას მემკვიდრე არ დაუტოვა?

– ჰოდა, მოვადექით მთავარს, მემკვიდრეს.

– რას?

– იმას, ლუარსაბი სახლში რომ მიიწვიე, აქეიფე და შენი და ჩაუწვინე ლოგინში.

გიორგი დაფიქრდა, ნეტავ, დაფეხმძიმებულიყო ლელა და, არა მარტო დაფეხმძიმებულიყო, ვაჟიც გაეჩინა. მერე... მერე ლუარსაბს ცოლადაც რომ არ შეერთო, მაინც არაფერი დაშავდებოდა. დისშვილს გიორგი გაზრდიდა და ვინ იქნებოდა ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მაგასაც ვნახავდით.

– მერე, არ სჯობდა ლუარსაბის შვილი ყოფილიყო მეფედ? აბა, ის არის კარგი, გონებაჩლუნგი სიმონი რომ მეფობს და თავს სიმონ მეორეს უწოდებს? თუმცა, რა სიმონ მეორე და მეფობა – ქართლის გამგებელი სიმონ ხანი, რომლის ძალაუფლება ბოლნისს არა სცილდება, – ზიზღი ვერ დამალა გიორგიმ.

– სწორედ მაგისი შეეშინდათ თავადებს, მეფის მემკვიდრის გამზრდელი, ათაბაგი. მოკლავდი საცოდავ ლუარსაბს და, ფაქტიურად, ქართლის გამგებელი შენ იქნებოდი.

– ლუარსაბს არაფერს ვერჩოდი, მემკვიდრის გაზრდასა და ათაბაგობაში კი რა არის საძრახისი?

– ჰმ, გამომივიდა ბექა მანდატურთუხუცესი.

– ბექა ჯაყელს ტაშისკარი არ მოუგია, ისე, ჩემი გაზრდილი დისშვილი რატომ არ შეიძლება ბექას შვილიშვილის მსგავსი ყოფილიყო?

– მაგრამ ბექას დემეტრეს სიკვდილში წილი არ უდევს.

– ღმერთია მოწამე, არც მე მიდევს წილი ლუარსაბის სიკვდილში, ეს მან გამომიმეტა, როდესაც მძინარე სტუმარს მკვლელები მომიგზავნა. თანაც, სწორედ მე მკითხავდა შაჰ-აბასი მეფის სიკვდილ-სიცოცხლის ამბავს.

– კახეთის ამბებზე რას იტყვი? არ მითხრა, იქაც უცოდველი ვარო.

– და რაში მიმიძღვის ცოდვა?

– რაში და იმაში, რომ აბასს ურჩევდი, ზამთარში მოეწყო ლაშქრობა, „სიცივეში ხალხი ვერ გაიხიზნება“-ო, – გახსოვს?

– კი მაგრამ, სიცხეს მიჩვეული ერანელები სიცივეში როგორ იბრძოლებდნენ? დახვედროდნენ აბასს მომზადებულები და თავი დაეცვათ, ვინ უშლიდათ?

– იბრძოლებდნენ კიდეც, მაგრამ მეთაური არ ჰყავდათ.

– ჰოო, საჭირო ყოფილა თურმე კარგი მეთაური.

– კარგი მეთაურის საჭიროებაზე არავინ დაობს, მაგრამ ქართველის სისხლის დაღვრა არავის ეპატიება.

– არც დამიღვრია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე; თუმცა, სასიკვდილე ბევრი შემხვედრია.

– ვითომ?

– რა ვითომ, თითქოს არ იცი, როდესაც მეფის მოგზავნილ მკვლელებს გავექეცი, პირდაპირ ნოსტეში წავედი, რათა ცოლ-შვილი და რამდენიმე ერთგული კაცი სიმამრთან, ანანურში, გამეხიზნა. მტკვარზე, ხიდზე, გუშაგები დამხვდნენ. იქაურობას იკლებდნენ ტრაბახით და იმაზე დაობდნენ, თუ რომელს მოვეკალი ან შევეპყარი. რა, არ შემეძლო დამეხოცა ისინი და გზა გამეგრძელებინა? ნუგზარი მისაქციელთან მელოდა და, თუ საჭირო გახდებოდა, მომეშველებოდა კიდეც, მაგრამ ადიდებული მდინარის გადაცურვა გადავწყვიტე ქალიან-ბავშვიანად, რომ მათ ცოდვაში არ ჩავმდგარიყავი. არც აჯანყება მიცდია, თუმცა, საამისო ძალა გამაჩნდა. პირიქით, არაფერი ამგვარი არ გამიკეთებია, ისე გადავიხვეწე ირანს.

– გადახვეწილი გერქვა, თუმცა, მშვენივრად ცხოვრობდი. რჯულიც ადვილად გამოიცვალე.

– კი, რაც მართალია, მართალია, რჯული შევიცვალე, მაგრამ განა სარკინოზებთან ტყვედ ჩავარდნილი ჯვაროსნები არ იცვლიდნენ სარწმუნოებას? მერე ინანიებდნენ და შენდობასაც იღებდნენ; მე რაღა დავაშავე, რატომ ვარ გამონაკლისი?

– კარგი ცხოვრება?

– არ ვიცი, სხვის კარზე, თუნდაც, შაჰის კარზე, ცხოვრება კარგია თუ არა, როდესაც უბრალო კარისკაცებიც კი დამცინავად გიყურებენ. სხვისი არ ვიცი და, ვინ მოთვლის, ნოსტე და თეძამის ხეობა რამდენჯერ დამსიზმრებია ირანში. ერთხანს მოვახერხე საქართველოში ჩამოსვლა, ამ სულელ სიმონ-ხანის მრჩევლად, მაგრამ მალევე გამიწვიეს უკან.

– ეს ყველაფერი კარგი და შაჰს მაინც რატომ ღალატობ? გამოქცეული შეგიფარა, დაგაპურა, სახლ-კარი გიბოძა, ჯაგირი დაგინიშნა; შენ კი რითი უხდი სამაგიეროს?

– ყანდაარი? ერაყი? – განა ცოტა გამარჯვება მოვუტანე შაჰს? მაგრამ რა, ჩემს გამარჯვებებს სხვებს მიაწერდა და წყალობასაც არ აკლებდა, მარტო უნდილაიძეები რად ღირან.

– უნდილაიძეების დიდება არ გასვენებს.

– ხო, და არა მარტო მათი, – ყრუდ ჩაილაპარაკა გიორგიმ

– ამპარტავანი ხარ.

– შეიძლება, მე უფრო სიამაყეს დავარქმედი.

– მეფობა გინდა? – პირდაპირ ჰკითხა ხმამ, – შეძლებდი?

– შევძლებდი? რას? ამ მეფეების შემხედვარეს გული ბოღმით მევსება. რომელი ერთი გითხრა? ავგიორგი? კონსტანტინე? რაც ალექსანდრე მეორემ საფურცლეში ჩაიდინა, იმას რომელი გლეხი იკადრებდა?

– შაჰის შიკრიკი რომ არ ჩაგეგდო ხელში, რაც განზრახული გაქვს, გააკეთებდი? – საუბრის თემა შეცვალა ხმამ.

– შაჰის შიკრიკის ხელში ჩაგდებასაც ვაჟკაცობა უნდა. კარგა ხანია, ათვალწუნებული ვყავდი აბასს, განა ვერ ვხვდებოდი? იმ წერილშიც, ყარჩიხახანს რომ სწერდა, შავით თეთრზე ეწერა: „გიორგის თავი მოსჭერი და გამომიგზავნე“-ო. ახლა, ღმერთის შეწევნით, ყველა ვალს გადავიხდი.

– რომელი ღმერთის? – დამცინავად იკითხა ხმამ.

– ღმერთის, – მკაცრად მოჭრა გიორგიმ.

– რომელ ვალს?

– პირად ვალსაც და ვალს ქვეყნის წინაშე.

– ისე, ამ ვალების გადახდა მძიმე იქნება.

– ძალიან მძიმე, – ყრუდ თქვა გიორგიმ, – ამაზე მაინც არ ამოიღო ხმა.

– მაგას როგორ ვიკადრებ, განა არ ვიცი, რომ ასეთი მსხვერპლის გაღება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია?

გიორგის გული შეეკუმშა, ველარ ამოისუნთქა, თვალები დახუჭა. უეცრად პაატა დაინახა – მშვიდი, გაღიმებული. მივიდა და მამას გადაეხვია. საოცარი სითბო იგრძნო გიორგიმ, სითბო, რომელიც სულს უთბობდა და ძალუმ სხეულს ძველებური ძალითა და ენერგიით უვსებდა

– მაპატიე, შვილო, – ამოიხრიალა გიორგიმ.

– მსხვერპლს მაშინ აქვს ფასი, თუ იგი დიდ გამარჯვებას მოიტანს, – გიორგი ვერ გაერკვა, თუ ვინა თქვა ეს სიტყვები, პაატამ თუ ხმამ.

– ღმერთი გფარავდეს, გიორგი, – უთხრა ხმამ.

გიორგი ერთხანს კიდევ იჯდა კუნძზე. ირგვლივ სიჩუმე იდგა. შემდეგ წამოდგა და ბანაკს გადახედა. მარტყოფის ცას მტრედისფერი შეჰპარვოდა. 1625 წლის ხარების დილა თენდებოდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორ **თეიმურაზ სილაგაძეს**, განსხვავებული ხედვით წარვუდგენთ მკითხველს, როგორც – მწერალს, პუბლიცისტს. მისი პირველი კრებული – **„მოგზაურობა წარსულში“**, კარგადაა ცნობილი ექიმებისთვის და არა მარტო მათთვის...

ავტორი დაინტერესებულია საქართველოს წარსულით და გასულ საუკუნეებში მოღვაწე ცნობილი ისტორიული პირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებით.

ამის შესახებ ავტორი პირველი კრებულის შესავალში საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „მეთოდი, რომელსაც პირობითად პიროვნების რეკონსტრუქციის მეთოდი შეიძლება ვუწოდოთ, რთულია და მოითხოვს სპეციფიურ ცოდნას, როგორც ფსიქოლოგია-ფსიქიატრიაში, ისე ისტორიასა და ლიტერატურაში. ამავე დროს, ძალზე საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ასე შეიძლება ამა თუ იმ ისტორიული პირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ პერიოდების შევსება, რომლის შესახებ ცნობები დღემდე შემონახული არაა. ეს ნაწარმოებები ამ გზითაა შექმნილი; მის მხატვრულ ღირებულებებზე მკითხველი იმსჯელებს.“ – წერს ავტორი.

გთავაზობთ, ბატონი **თეიმურაზ სილაგაძის** ახალ ისტორიულ მოთხრობას **„გიორგი“**, წიგნიდან – **„ფსიქიატრია მწერლის თვალით (თუ პირიქით)“**, მიძღვნილს **გიორგი სააკაძისადმი**.

სტუდენტის შემოქმედებიდან

გაგთოვდი თეთრად...



თოვს...

ლამპიონის შუქზე თოვს და შენი სარკმლის წინ...

თოვს თეთრად...

გარეთ ვარ, ვსუნთქავ მსუბუქად – ჩემი გრძნობა და სული გათოვდა თეთრად...

ფანჯარაში არც გამოგიხედავს, ისე ჩამომიფარე ფარდა წინ და აჭრელებულ მონიტორს მიუჯექი, „მეგობარ" ქალთა სხეულის ფორმებით აჭრელებულს...

ვიცი, ვიცი, რომ მოგწონს შიშველი დალაშქრული მთები, შოკოლადები... ვიცი...

გარეთ გაიხედე, თოვს...

ფარდიდან ატანს სინათლე...

შენ ტახტზე წამოწოლილი უსმენ ტელევიზორს და მობილურით ერთობი...

ჭიქა ყავა, აჭრელებული მონიტორი, პოლიტიკოსების უწმაწური სიტყვები... გაბის ნამწვით გამთბარი ოთახი, ხმა კომპიუტერიდან, შეტყობინება Facebook-დან...

ფარდა გადაწიე, თოვს...

მანქანა დაქოქე და წახვედი...

არაყი, მუსიკა, გოგონები, ჭიქა ყავა და კვლავ გაბის ნამწვი...

გარეთ გაიხედე, თოვს...

ვეხეთქები შენი მანქანის მინას, შენ საწმენდით მამტვრევ... მიმავალ რობოტს უცქერ...

გარეთ გაიხედე, თოვს...

გავთოვდი თეთრად, არა სისხლისფრად, არა – იასამნისფრად, არც ადამისფრად, არამედ თეთრად...

გარეთ გაიხედე...

ვდგავარ ცარიელ ქუჩაში, ლამპიონების შუქზე, მაგრამ ჩემთვის ერთი შუქია მხოლოდ...

ფარდის უკან მოძრაობს სილუეტი...

მსხვილ ფიფქებად ვცეკვავ...

შენთვის გავთოვდი... შენთვის გავაშიშვლე სული და გრძნობა...

მინდოდა მეთქვა..

წყლიან თვალებსა და სარკმელში მბჟუტავ სინათლეს შორის თოვს თეთრად...

ფარდა გადაწიე...

თოვს...



მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს, **ნათია მალაზონიას,** როგორც შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეულს, უკვე იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. ამჯერადაც მან რამდენიმე ჩანახატი მოგვაწოდა, რომელშიც კარგად იკითხება მისი მგრძნობიარე ბუნება, მძაფრი განწდები თუ გულნრფელი ემოციები. მისი მხატვრული ავკარგიანობის განსჯა კი კიდევ ერთხელ მიგვინდია მკითხველისთვის, რომელიც, გვჯერა, მკაცრი არ იქნება ახალბედა შემოქმედის შეფასებისას.

გამოღვიძება

მე ალბათ არასდროს დავთანხმდებოდი, რომ ჩემს ფურცლებზე მოხაზული ასოები, რომლებიც ჩემს გბას განაპირობებდა, ჩემი ხელით შექმნილი არ ყოფილიყო...

შუა თოვაში შენ ქარიშხლად გამომეცხადე და ჩემი ხელით შექმნილი, სევდიანი ფიფქებით მოხაზული ჩემი სილუეტი ააბუნტე. მომაშორე გაქვავებული სახლის ფარდაჩამოფარებულ ფანჯრებს, სადაც თეთრი ფიფქები მხოლოდ და მხოლოდ წყლად მეღვრებოდა და მეკარგებოდა...

შენ მე ქარიშხლად გამომეცხადე და ამაბუნტე; შენმა ქარიშხალმა წამიყვანა მხარეს, სადაც მე ჩემი ნებით არ წავიდოდი, - შენმა ქარიშხალმა შეცვალა ჩემი ნება.

შენმა ქარიშხალმა დახშული სივრციდან ცრემლებით ამომიყვანა, - ვით ახალშობილი.

მე დავიბადე შენი ქარიშხლით.

სად ხარ, რა იმალება ქარიშხლის უკან. შენ მე დამბადე და გზა შეცვალე...

მე ალბათ არასდროს დავთანხმდებოდი ვინმეს ვეტარებინე გზებზე, რომელიც ჩემი მოხაზული არ იყო. მაგრამ... შენ ამაბუნტე და ჩემი სილუეტი თავიდან დახატე. შენ მე წამიყვანე...

შენ ჩემი გათოვება პირველ გაზაფხულად აქციე.

უცნაურია, მე ისიც კი არ ვიცი, ვინ ხარ, რატომ ვწერ შენზე... ან მაქვს უფლება დავწერო? მაგრამ...

მაგრამ პირველად, მე გზას არ ვკითხულობ. მოგყვები.

მოგყვები. ქარიშხლისა და ფიფქების პირველი ცეკვის მერე.

ველი შემდგომ უეცარ აბუნტებას შენი ქარიშხლით.

ფეხვედრა შემოდგომის პარკში



და აი ...

თოვლის მერე დადგა შემოდგომა.

ჩემი ყვითელი ფოთლები...

ოქროსფერი, ტკბილი შემოდგომა-თქო, ვამბობდი დღემდე.

დღეს ჩვენ მეორედ შევხვდით...

მეგონა გზა სხვაგან მიდიოდა და კარგის ძიებაში გზაზე შენ დამხვდი.

შენ

მე

მეორედ ამაბუნტე.

... ლაბირინთებით დაქსაქსულ ხეებში მიმავალ გზაზე ჩემი სილუეტი ამჯერად ფოთლებით შეჰქმენი.

შენ მე მითხარი:

მე შენში გამოვიწვევ ისეთ სიყვარულს, რომ შენი ნაწერი ტკივილით კი არა, ბედნიერებით გაჯერდეს.

შენ ფერფლავ მას, რაც იყო წინათ.

აი... შენ ჩემს რეალობას ოცნების ფერებით ქმნი.

შენ მე მეცეკვები და ყოველი რეალური ცეკვა ჰგავს ოცნების ფერს.

განა წარმოვიდგენდი? ...

ნაზად ამიფრთხიალდი სიოდ;

მე

შენი სუნთქვა

კისერზე ვიგრძენი.

მე შენ გამოგყევი ბრმად.

მე ხომ დაგპირდი; მე გზა არ მიკითხავს და აი, სად აღმოვჩნდი;

სადაც შემოდგომას ხეებზე გულისფერი ფოთლები ჰკიდია... შენ ამ ფერით მოქარგე ჩემი სახე ჰაერში.

ჰო, ჰო

ჰაერში.

ჰაერში, რადგან მომდევნო შეხვედრისას თავიდან დამხატო;

რომ კიდევ თავიდან დავიბადო;

რომ მომდევნო ცეკვას ჰქონდეს პირველის მსგავსი სიტკბოება;

რომ ყველაფერი გაკეთებული განმეორებისას აღმოჩნდეს პირველი.

შენ გამაცოცხლე იმად, რაც მიყვარს.

ჩვენ...

დღეს მეორედ შევხვდით

შემოდგომის პარკში.

ვენეცია

ჩემს წარმოდგენაში ხშირად ვუცქერ შენს თვალებს, ვინაიდან რეალურად ამის საშუალება არ მაქვს. რაც უფრო ღრმაა, მით უფრო საინტერესოა ის. ხან ზღვას ვხედავ მასში, ხანაც – მოფარფატე ფოთლებს, ტოტებგაშლილ ნაძვს, მზეს, ხანაც – ქალს, რომელსაც შენი თვალები დაეძებენ...

უჩვეულო შეგრძნებით იღვიძებ ყოველთვის. ის შენ გვერდით არაა. იმედს იტოვებ, რომ ერთ დღეს ხალხით სავსე ბაქანზე დაინახავ იმ ერთს. მუდამ თვალწინ გესახება. იცი კიდეც, როგორ გამოიყურება, თუმც კი რარიგ იდუმალია – ეს გხიბლავს უფრო, არ მოგწონს გადაშლილი წიგნი. შენ ხომ ამოცანები გიყვარს მეტად. ეს გაძლევს ინტერესს და ხალისს. აზარტში შედიხარ და რაც უფრო გითრევს, მით გსიამოვნებს. იცი, ვერასდროს დააღწევ თავს ამ მორევს.

ხშირად მაშინ ხდება ოცნებები, როცა ნაკლებად ამახვილებ ყურადღებას მასზე, როცა თითქოს სულ გადაგავიწყდა. ისინი არასდროს გივიწყებენ. ასე მოხდა შენს შემთხვევაში. გვიან ღამით ბრუნდებოდი სახლში, სველ ქუჩებში მიაბიჯებდი და თან სიგარეტს აბოლებდი; ერთ-ერთ შესახვევს მიაშურე, საიდანაც რიტმული, ჰარმონიული მუსიკა მოგესმა. გული უცნაურად აგიძგერდა. ხმას თვალით დაუწყე ძებნა. შენ ის დაინახე: მჭიდროდ მომდგარ კაბაზე პიჯაკი ეცვა, „შლიაპა" ეხურა სახეზე ბადით და გრძელი ფეხებით ნაზად მიკაკუნობდა.

აი, საიდან მოდიოდა ეს საოცარი მუსიკა. ნაწვიმარ ქუჩაში, თითოეულ ფილაქანზე გადადგმული მისი მოკლე ნაბიჯი ახალ-ახალ განსხვავებულ და რაღაც ღვთიურ ჰანგებს გამოსცემდა. ბროლივით თითები ახლაც თითქოს პიანინოს კლავიშებზე დასრიალებდნენ. შენი გული „ჭკუიდან იშლებოდა", მაგრამ მისი სიცივე არ გიშვებდა ახლოს. ღრმად ისუნთქავდი მის ჰაერს და მის არხში გონდოლივით მიცურავდი. ლამპიონების შუქზე ცდილობდი გაგერჩია ეს თვალწარმტაცი შენობები და შეუსვლელად ცდილობდი გაგერკვია თუ რა ხდებოდა შიგნით. უსმენდი კლასიკურ მუსიკას, სიჩუმის ქარით მონაბერს, თითოეული მოძრაობა ცეკვავდა, ათასფრად იშლებოდა და უკრავდა საოცარ, გულისგამყინავ და, ამავდროულად, თბილ მუსიკას. გიკვირდა, თუ როგორ შეიძლება გარეგნულმა სიცივემ და სიჩუმემ მზეზე მეტი სითბო გამოსცეს. თუმცა გსიამოვნებდა და სხეულის თითოეული ნაწილით გრძნობდი ამ ლამაზ სურნელს, მის არსებობას...

გულმა არ გაგიძლო, წამოეწიე. შეჩერდა, დახრილი თავი ნელ-ნელა ასწია, რომელსაც თანდათან ეფინებოდა ლამპიონების შუქი. თავი გაასწორა, შენ დაინახე მისი შველივით ყელი, წითელი ღვინის მსგავსად არომატული ტუჩები და სავსე მკერდი. მან ამაყად ჩაგხედა თვალებში...

განათდა... აივნის ღია კართან ვალსს ცეკვავდა თეთრი ფარდა. გაგეღიმა, საწოლიდან წამოდექი და აივანზე გახვედი. ქუჩას გახედე, ვიღაც მისეირნობდა გონდოლით. ოდნავ ისმოდა წყლის ხმაური, თენდებოდა. მზის პირველი სხივიც ამოიწვერა. ღრმად ჩაისუნთქე და თვალებიდან წამოსული გაბრწყინებული ღიმილით მიესალმე: „დილა მშვიდობისა, შთაგონებავ, ჩემო მუზავ, ჩემო სუნთქვავ, ჩემო ვენეციავ!.."

ჩემი ჰორიზონტი

წა-დი ...

წა-დი ჩე-მი ჰო-რი-ზონ-ტი-დან ...

მე ჩემს სახეს გული მივაყოლე, როდესაც შენთვის არაფრისკენ დავდექი, სადაც შენ მხოლოდ არაფერს ხედავდი;

მე ღრმად ვსუნთქავდი უსასრულობის ჰაერს;

მე ვიზრდებოდი...

გაყინულ დღეებში წვიმის წვეთები მათბობდნენ;

ვცეკვავდი თეთრ ფიფქებად;

ვგრძნობდი მზის სინათლის სუნს;

მე მუდამ ვუყურებდი ჰორიზონტს, სადაც ჩემი ქვეყანა, ჩემი სახლი იწყებოდა.

შენ...

შენ;

შენ!

შენ მე ზურგიდან მომეპარე და უხავსო კლდესავით აღიმართე ჩემსა და ჩემს სახლს შორის.

შენ ჩემი ჰორიზონტი დაჩრდილე;

ჰაერით, რომელიც მოიტანე, სიგარეტის მწეველი ადამიანივით მიბინძურდება ფილტვები.

არ მინდა გავხდე შენი მწეველი.

წადი, წადი ჩემი ჰორიზონტიდან.

მე დამავიწყდა თეთრად გათოვება;

არ მინდა ვთოვდე სისხლისფრად.

მე არ ვაპირებ ხეზე ასვლას, ტყუილად ცდილობ...

შენ

ჩემს გზაზე

არ გაიხარებ.

გაქრი, გაქრი ჩემი ჰორიზონტიდან.

დამიბრუნე შემოდგომა,

სივრცე, ჩემი უსასრულობა.

ბავშვობიდან მახსენდება ანიმაციური ფილმი...

თავს ვგრძნობ გედად, რომელიც მუქი ფერებით შემოსაზღვრულ უზარმაზარ სივრცეშია გამომწყვდეული.

გამიშვი...

ჩემი სახლი უფრო დიდია. იქ ამოდის მზე და გვირილები პირველი სხივის ამოწვერვისას იღვიძებენ.

ხის სახლში, ტალღებს ალაგ-ალაგ შემოაქვს გაფანტული ბაბუაწვერა.

დაე, ყორნებმა წაიღონ ჩემში გადგმული შენი ცნობიერი.

წადი ჩემი ჰორიზონტიდან...

ხსოვნა

გურამ გვასალია

გარდაიცვალა ღირსეული დასტაქარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პრაქტიკული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ნიკოლოზის ძე გვასალია**.

ბატონი გურამი იყო დინჯი, განწონასწორებული ადამიანი. გამოირჩეოდა თავდადებული შრომით, არაერთ მნიშვნელოვან საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანა. ნათქვამია: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“, გურამი კი სწორედ ჩინებულთა შორის რჩეული იყო. სამშობლოს სიყვარული და ინტელიგენტობა ის თვისებებია, რითაც იგი დაჯილდოვა უფალმა. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – ქვეყნისა და ადამიანებისთვის სიკეთე ეკეთებინა. გახლდათ უაღრესად თავშეკავებული და თავმდაბლობით გამორჩეული.

გურამ გვასალია დაიბადა 1946 წელს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა 1969 წელს. 1969-72 წლებში იყო ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასპირანტი; 1973-78 წლებში – კათედრის უფროსი ლაბორანტი; 1974 წლიდან შეთავსებით მუშაობდა რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის განყოფილების ექიმ-რეანიმატოლოგად; 1978 წლიდან – ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის დოცენტად, 1994 წლიდან – პროფესორად. 1983-89 წლებში გურამ გვასალია იყო თსსი-ის ინტერნატურისა და საწარმოო პრაქტიკის დეკანის მოადგილე; 1989-94 წლებში – ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი; 1994-96 წლებში – ჯანდაცვის სამედიცინო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსი; 1996-2000 წლებში – ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კლინიკური ხელმძღვანელი. იგი, აფხაზეთის კონფლიქტში აქტიური მონაწილეობისთვის, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით; 2008 წელს – ღირსების ორდენით; 1994 წელს აირჩიეს სამედიცინო ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად.

2006-2007 წლებში მუშაობდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში გენერალურ დირექტორად; 2007-2011 წლებში – დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში; ბოლო წლებში გორში „გორმედის“ კლინიკური დირექტორის თანამდებობა ეკავა.

გურამ გვასალია საზოგადოებრივ, პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობას ნაყოფიერად უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1992 წელს სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია, 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე.

ბატონი გურამი იყო ენერგიით სავსე, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე, მაღალკვალიფიციური ექიმი, ბრწყინვალე მამა. ის ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, აღზარდა შესანიშნავი შვილები, მისი მეუღლე იყო ექიმი ანესთეზიოლოგი **თამარ ჩიჩუა**.

პროფესორი გურამ გვასალია გახლდათ მაღალკვალიფიციური და გულისხმიერი მკურნალი, არაჩვეულებრივი ქირურგი.

მას, მძიმე სენის გამო, ბევრი გეგმა და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, არადა კიდევ რამდენის გაკეთება შეეძლო. იგი დააკლდა ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს, კლინიკას, სანათესაოს. გულწრფელია და უდიდესი მისი განშორებით გამოწვეული ტკივილი და სევდა.

ბატონი გურამის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრების, ახლობლების, მის მიერ გადარჩენილი მრავალი პაციენტის გულში, რომელთა პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული.

დარჩა მონატრება და მის მიერ გაწეული სამაგალითო საქმიანობა, რომელიც არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება (ყოფილი სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა) და აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიულ განყოფილებათა თანამშრომლები.

გახსენება

კაცი, რომელიც უყვარდა ყველას

იგი უკეთილშობილესი პიროვნება იყო... ყველასთვის საყვარელი, თავდადებული, უანგარო, წესიერი, გამორჩეული...

მას ყველა იცნობდა სამედიცინო უნივერსიტეტში, თითქმის ყველა სტუდენტი მასთან მეგობრობდა... ყველას ეიმედებოდა...

ვერავინ ასწრებდა უნივერსიტეტში მოსვლას, ყოველთვის პირველი იყო, თუმცა, ზოგადად, პირველობას არასოდეს ცდილობდა...

ხშირად ნახავდით სამედიცინო ქალაქის ეზოში სტუდენტებით გარშემორტყმულს... ხშირად ეკითხებოდნენ რჩევას, საიდუმლოს უზიარებდნენ, ამიტომაც ყველა სტუდენტის ცხოვრებას ზედმიწევნით იცნობდა. როცა ბევრს უჭირდა (და არც თვითონ გახლდათ „დალხენილი“), ფინანსურად შეჭირვებულებს განსაკუთრებით ეხმარებოდა, სახლშიც მასპინძლობდა და უკანასკნელ ლუკმასაც უნაწილებდა... ბევრჯერ ვყოფილვართ მხილველნი, როგორ მიდიოდა პროდუქტებით დატვირთული სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. უნივერსიტეტის ეზოში ეკლესიის მშენებლობისას ვერ გაარჩევდით მუშებისგან, რომელთა გვერდით თავდაუზოგავად შრომობდა... პირველი შესაწირიც მან შესწირა ეკლესიას – მთელი თვის ხელფასი დაუნანებლად გასცა საღვთო საქმისთვის...

მიუხედავად ასეთი ახლობლობისა, ყველა პატივისცემით და მოკრძალებით მიმართავდა, მისაღები გამოცდების დროს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო აბიტურიენტებთან მისი თბილი დამოკიდებულება, ომახიანი გამხნევება, მაშინ, როცა ყველა თანამშრომლისთვის იკრძალებოდა აბიტურიენტებთან ურთიერთობა, იუზა ამას არ ერიდებოდა, რადგან მისთვის ეს ყველაფერი ორგანული და ბუნებრივი იყო... რაჭული კილო ამშვენებდა, ისე მოხდენილად წარმოთქვამდა სიტყვა „ბოშოს“, ეს მიმართვა ყველასთვის მიღებულ ნორმად იქცა და იუზას მიმართ სიყვარულს აძლიერებდა.

ჩვენი რედაქციის განუყრელი მეგობარი გახლდათ... გვახალისებდა ჩვეული იუმორით... თუკი არ გამოჩნდებოდა, მაშინვე მოვისაკლისებდით... პროფესიულ საქმიანობაშიც თითქოს ბევრი გვაკლდებოდა მის გარეშე...

მარტოკაცი იყო, მაგრამ არასოდეს უგრძვნია მარტოობა, ამის საშუალებას მას არავინ აძლევდა...

დიახ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენ იუზა კობახიძეზე ვსაუბრობთ – იმ გულმართალ, კაცურ კაცზე, რომელსაც, დარწმუნებულნი ვართ, ბევრი თქვენგანი იცნობდა და, ეჭვგარეშეა, ისე, როგორც ჩვენ – ალალსა და უღალატოს...

იუზა გაზით მოინამლა და სტუდენტებმა ცოცხალ-მკვდარი საავადყოფოში გადაიყვანესო, – გვაცნობეს ერთ დღეს... სავარაუდოა, რომ ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი მისი გარდაცვალებისა.

სამედიცინო უნივერსიტეტის იმდროინდელი ხელმძღვანელობის, სტუდენტების, მეგობრების თანადგომამ იუზა მაშინ იხსნა სიკვდილისგან, მაგრამ არცთუ ხანგრძლივად... საგრძნობლად ჯანმრთელობაშელახულმა მხოლოდ სამიოდე წელი იცოცხლა და 2007 წლის 16 იანვარს აღესრულა...

იმ წელს ზამთარი მეტისმეტად მკაცრი იყო, მით უფრო – რაჭაში, მაგრამ ამას არავინ დაუბრკოლებია: ჯერ თბილისელი მეგობრები, ახლობლები, სტუდენტები გამოეთხოვნენ იუზას, შემდეგ კი რაჭამ მიიღო თავისი საყვარელი შვილი...

მიმდინარე წლის 16 იანვარს კი თსსუ-ის მოსამზადებელი ცენტრის დირექტორმა, ბატონმა **გია (გრიგოლ) სულაბერიძემ** ცენტრში მიგვიწვია, სადაც მრავლად დაგვხვდნენ ბ-ნი იუზას გულშემატკივრები: **ბელა მამულაშვილი, თამაზ გელოვანი, ნოდარ გაფრინდაშვილი, გიორგი მოსიძე, ზურაბ ტუღუში, ნაირა აბუაშვილი, ირმა გვრიტიშვილი, მაგდა ბიბილაშვილი, ბესარიონ კოჭლამაზაშვილი, დავით ცხომელიძე, დავით ჩხობაძე, გულსუნდა ჭანტურია, ბორის ჯანიაშვილი, ხათუნა გოგოლაშვილი, მანანა ჩიჯავაძე** და ცენტრის სხვა თანამშრომლები... თუმცა მისი ხსოვნის პატივისმცემლებს უნივერსიტეტის ეზოც ვერ დიტევდა... მოგონებათა „კორიანტელში“ ვერ ვიგრძენით ღამის სიბნელის შემოპარვა, მეტად შთამბეჭდავი იყო მისი განსაკუთრებული თანამდგომების და ჭირისუფლების: ბატონი გიას და ქალბატონი ბელას მიერ მოყოლილი ბატონ იუზასთან დაკავშირებული ისტორიები... იყო ბევრი ღიმილი და ცრემლი...

იმ დღეს ბატონი იუზა ჩვენ შორის იყო ჩვეული იუმორით, სითბოთი და კეთილშობილებით. შეხვედრა ბ-ნი იუზას დის, ქ-ნი **ნანული კობახიძე-ჩიხრაძისა** და ბ-ნი გიას ინიციატივით და მოწადინებით შედგა. აქვე იყო იუზას დის შვილიშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი **თამარ ჩიხრაძე**, სახელოვანი ბაბუის ღირსეული შთამომავალი, რომელიც მისი გარდაცვალებისას ჯერ კიდევ პატარა იყო, თუმცა მისგან იმდენი სითბო და სიყვარული ახსოვს, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება...

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან იმდენი სიკეთე დათესა, ყველას ხსოვნაში სამუდამოდ დარჩა, როგორც საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟებივით კეთილშობილი და ღირსეული რაინდი...

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია

გახსენება

30 წლის წინ... გაზაფხულის საბედისწერო გაელვება...

1984 წლის 27 მაისს, თბილისის ზღვაზე, სამი ახალგაზრდის დაღუპვის სულისშემძვრელი ამბავი მეხივით დაატყდა ქალაქს: უბედურმა შემთხვევამ სამი უნიჭიერესი ახალგაზრდის: **გიორგი ჩოგოვაძისა** და ძმების – **გიორგი** და **კახა ჩხაიძეების**, სიცოცხლე შეიწირა. ორი მათგანი – **გიორგი ჩოგოვაძე** და **კახა ჩხაიძე** მაშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი იყო. ამ სამწუხარო ამბავს 30 წლის წინ გამოეხმაურა ჩვენი უნივერსიეტეტის **„სამედიცინო გაზეთიც“ (მაშინდელი „მედიცინის მუშაკი“): „სამწუხარო ცნობამ შეძრა ჩვენი ინსტიტუტი, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები – გიორგი გოჩას ძე ჩოგოვაძე, გოგიტა (გიორგი) გურამის ძე ჩხაიძე და გოგიტას ძმა – კახა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. გოგლიკო და გოგიტა ჯერ კლასელები, შემდეგ კურსელები იყვნენ...**

...შეუძლებელია მხოლოდ 19 გაზაფხულს შეხვდე და ასე ლამაზად იცხოვრო, ამდენი სიკეთე და სიყვარული დათესო; შენ ეს შეძელი, გოგლიკ! ზღვასავით დიდი სიკეთე და ცასავით უსაზღვრო სიყვარული დაგვიტოვე, მზესავით დიდი სითბო და ულამაზესი სიცოცხლე გვაგრძნობინე, მაგრამ ეგ არ გვეყოფა, მხოლოდ შენნაირი მეგობარი გვინდა გვერდით – სიცოცხლის მოტრფიალე, ცაზე და მიწაზე შეყვარებული, მეოცნებე, იმედიანი, ხალისიანი, მუდამ ახლის მაძიებელი“, – ასე წერდნენ მაშინ გიორგი ჩოგოვაძის ჯგუფელები...

გიორგი და გოგიტა, გოგიტას ძმის – კახას, წამიერად რომ გაუჩინარდა ზღვის სიღრმეში, საშველად გადახტნენ...

ბედისწერამ დაინდო მათი მეოთხე მეგობარი, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და იგი ამჟამად სახელგანთქმული ექიმია...

სულ ახლახან კი, 2014 წლის 11 დეკემბერს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში შეკრებილი საზოგადოება – ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები, რომელთა შორის ჩვენც, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციაც, გახლდით მიწვეული, პატივს მიაგებდნენ 30 წლის წინ, 1984 წლის 27 მაისს, თბილისის ზღვაზე მომხდარი თავზარდამცემი ტრაგედიის ერთ-ერთ მსხვერპლს, მეგობრების საშველად თავგანწირულ **გიორგი (გოგლიკო) ჩოგოვაძეს...** ცნობილია, რომ მაშინ ახალგაზრდები აფრინანი იახტით თბილისის ზღვაზე ვარჯიშობდნენ, რათა ტიმ სევერინის ექსპედიციას, რომელიც ახალი „არგოთი“ საბერძნეთის ქალაქ იოლკოსიდან საქართველომდე მოემართებოდა, ქალაქ ფოთის მისადგომებთან დახვედროდნენ.

...ჩაბნელებული დარბაზი ეკრანმა გაანათა – ფილმმა დამსწრეთა მზერა მიიპყრო და სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ **„თბილისის უნივერსიტეტის“** რედაქტორის, ქალბატონი **ნინო კაკულიას**, შთამბეჭდავმა ფილმმა და წიგნმა – **„კაცი, რომელიც თავს არ მოიკლავდა“**, – განაახლა, თითქოს იმ დღის ტრაგედიად აქცია, 30 წლის წინათ მომხდარი სულისშემძვრელი ამბავი...

ფილმში ერთმანეთს ცვლის გოგლიკოს ბავშვობა, ბაბუა – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი – **გიორგი ჯიბლაძე** (გოგლიკო ორივე ბაბუის ღირსეული თანამოსახელე იყო).

აკადემიკოსმა **რისმაგ გორდეზიანმა** გაიხსენა გოგლიკო და მისი სახელოვანი ოჯახი. ათეულ წლებს ვერ განუკურნავს გოგლიკოს მშობლების: **გოჩა ჩოგოვაძის** და **მანანა ჯიბლაძის**, უსაზღვრო ტკივილი. ბუნებრივი იყო ბატონი გოჩა ჩოგოვაძის ემოცია, რომელმაც მაინც შეძლო ესაუბრა შვილზე და მადლობა გადაეხადა დამსწრე საზოგადოებისთვის.

ჯგუფელის – **ნატა ღეჩუაშვილის**, მსახიობ – **ავთო მახარაძის**, აკადემიკოს – **როინ მეტრეველის**, ასევე, **გოგი ხოშტარიას**, **გელა ჩარკვიანის**, გულისსწორის – **ნინო სუხიშვილის** და სხვათა მოგონებები გოგლიკოს ბავშვობის, მისი ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული სოცოცხლის, მისი საუკეთესო თვისებების გახსენებას დაეთმო. იმას, თუ როგორი დაუნდობელია ბედისწერა... ნიჭიერი, ჯიშიანი, გამორჩეული ვაჟკაცები დაიკლდნენ არა მხოლოდ ოჯახს, არამედ – ქვეყანას...

არსებობს სიკვდილის კატეგორიები: უაზრო, აბსურდული, გმირული... გოგლიკო სწორედ გმირული სიკვდილით განეშორა ამ წუთისოფელს, იქნებ ეს არის შეღავათი, ქვეყნისთვის დამაშვრალი მშობლებისთვის, გოგლიკოს გარეშე სიცოცხლის გაგრძელებისა...

ახლახან, ექსპედიციიდან 30 წლის შემდეგ, ტიმ სევერინი კიდევ ერთხელ ესტუმრა საქართველოს. სწორედ ე. წ. ახალი არგონავტების საქართველოში მოგზაურობიდან 30 წლისთავს მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: **„არგო 2014 – ლეგენდის გაცოცხლება“.** მწერალმა კონფერენციის მონაწილეებს თავისი წიგნის – „იასონის მოგზაურობის“ – ქართული თარგმანი უსახსოვრა. მან დიდი გულისტკივილით გაიხსენა 30 წლის წინ მომხდარი ტრაგედია და უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორთან საუბრისას აღნიშნა: **„ეს ახალგაზრდები ჩვენს შესახვედრად მოდიოდნენ. ეს სიმბოლური გამოხატულებაა იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველები ჩვენს ვიზიტს და რა დიდია ქართველი კაცის გული და სიყვარული. ვფიქრობ, იმ სამაგალითო ბიჭების დალუპვის ფაქტიც გვაძლევს ჩაფიქრებისა და ხშირად ზემოთ ახედვის საფუძველს, რათა გვახსოვდეს – ვილაცამ ჩვენთვის თავი გაწირა და ისინი მაღლიდან უმზერენ ჩვენს ნაბიჯებს ცხოვრების გზაზე...“**



წიგნში წარმოდგენილია გიორგი ჩოგოვაძის მეგობრების, უახლოესი ადამიანების მოგონებები. მათ შორის, თანაკურსელის, **ნატა ღეჩუაშვილის**, რომელიც დიდ პოეზიაში თავის ხმამაღალ დებიუტს სწორედ გოგლიკოს უმადლის. მეგობრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება კი მან ამ ლექსით გამოხატა:

ისევ 19 წლის ვარ, ისევ ყაყაჩოს ვეტრფი,
რამდენი დამრჩა ოცნება, რამდენი რამე ვერ ვთქვი;
ისევ ჭახჭახებს თოლია, ისევ ჩურჩულებს ვერხვი,
სამშობლოს გულში ვიხუტებ, მეცა ვარ ერთი ფესვი...
ლამაზი დამრჩა სიცოცხლე, მზისკენ მავალი ლექსი,
მეგობრობის და კაცობის სულ ბოლო თასიც შევსვი...
ისევ 19 წლის ვარ, ისევ ყაყაჩოს ვეტრფი,
რამდენი დამრჩა ოცნება, რამდენი რამე ვერ ვთქვი...

ქალბატონმა **ნინო კაკულიამ** აღნიშნული ფილმით და წიგნით ძეგლი აუგო და 30 წლის შემდეგ კვლავ გააცოცხლა გოგლიკო და მისი მეგობრები...

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია

თსსუ-ის ადმინისტრაცია, დაცვის სამსახური, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ თსსუ-ის დაცვის სამსახურის უფროსის, ბატონი **ვლადიმერ თვაურის** ძმის,

ტარიელ თვაურის,

გარდაცვალების გამო

სპორტი

ექიმები არ ხუმრობენ...

გასული წლის ბოლოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან საფეხბურთო მოედანზე წარსულში ცნობილი „დინამოელების“ – **ოთარ გაბელიას** და **დავით მუჯირის** – სახელობის მინი-საფეხბურთო ტურნირი გაიმართა, რომელშიც ქართველი მედიკოსებით დაკომპლექტებული საუკეთესო გუნდები მონაწილეობდნენ, კერძოდ: **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა, „ავერსი“-„გეოფარმი“, „ეი-ბი-სი“-„ფარმაცია“, ს/ს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი, კარდიოლოგიური კლინიკა „გული“, ონკოლოგიური კლინიკა „აბელოფი“, „პსპ“-„ნიუ ჰოსპიტალსი“.**

საფინალო მატჩში ერთმანეთს ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები შეხვდნენ, კერძოდ, **იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა** და **„ავერსი-გეოფარმი“.** უნდა აღინიშნოს მედიკოს-ფეხბურთელთა ბრძოლისუნარიანობის შესახებ; გუნდებში მოაზროვნე და ნიჭიერი ფეხბურთელები გამოვლინდნენ. საბოლოო გამარჯვება **იაშვილის სახელობის გუნდს** ხვდა, მესამე ადგილი კი **ქირურგიის ეროვნული ცენტრის** წარმომადგენლებმა დაიკავეს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის დირექტორს, ბატონ **შოთა ჯოგლიძესა** და „ავერსი-გეოფარმის“ წარმომადგენელს – ბატონ **დავით კომაიძეს**, აქტიურობისთვის. სხვათა შორის, ორივე გუნდი, ჯანდაცვის სამინისტროს გუნდთან ერთად, თსსუ-ის მინი-ფეხბურთის სტადიონზე ვარჯიშობდა და ემზადებოდა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **ზურაბ ძაგანია**, საუკეთესო მეკარედ – **რევაზ მანჯგალაძე** (იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკიდან); საუკეთესო ბომბარდირი, ცხრა გატანილი ბურთით, გახდა **პაატა მაღრაძე** („ავერსი“).

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვეს თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, **ზაურ ფხალაძემ** და მთავარმა მსაჯმა, ტურნირის ორგანიზატორმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, **ვახტანგ ბაქანიძემ.**

ახალი წელი გამარჯვებით მიულოცეს უნივერსიტეტს ...

2014 წლის 9-25 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა სტუდენტური ჩემპიონატი ფრენბურთში (გოგონები და ვაჟები) უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

ჩემპიონატში მონაწილეობდა გოგონათა 8 და ვაჟთა – 10 ნაკრები გუნდი.

აღსანიშნავია, რომ ქვეჯგუფში სამედიცინო უნივერსიტეტის გოგონათა გუნდმა დაამარცხა თსუ-ის, აგრარული, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების გუნდები და დაიკავა I ადგილი. ასევე, ვაჟებმა ჯგუფში შეჯიბრება მოუგეს სოხუმის, სუხიშვილის, სეუ-ს და ღია უნივერსიტეტების გუნდებს და მათაც I ადგილი მოიპოვეს.

შემდეგ გოგონებმა დაამარცხეს ილიას უნივერსიტეტი, ვაჟებმა კი საქართველოს უნივერსიტეტი. შესაბამისად – ორივე გუნდი გავიდა ფინალში, სადაც ისინი შეხვდნენ სტუ-ს გუნდებს და მათსავე ტერიტორიაზე დაძაბული შეხვედრის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს.

ამ წარმატებაში დიდია თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოორდინატორის, ქ-ნი **ზოია ცაგარელის** წვლილი, რომელმაც, დაუღალავი შრომის და ყოველდღიური წვრთნის შედეგად, ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან ერთად ჩამოაყალიბა შესანიშნავი კოლექტივი.

სურაჩ სინგი,
გუნდის კაპიტანი

ტრადიცია გრძელდება

სამედიცინო უნივერსიტეტში სპორტი, მით უმეტეს, ფეხბურთი, რომ უყვართ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი... უკვე რამდენი ათეული წელია, ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი აქტიური სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს. ასეა დღესაც, ამაში განსაკუთრებულია ბატონი რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, ყურადღება და თანადგომა დარგის მესვეურებისა და სტუდენტებისადმი – წარსულში თვითონ აქტიური სპორტსმენი, ბატონი ზურაბი, ყოველთვის გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა კოლეგების და სტუდენტებისადმი და, ვფიქრობთ, ტრადიცია სამომავლოდაც შენარჩუნდება...

წერილი, რომელიც ისევ და ისევ სპორტის სიყვარულმა დამაწერინა, მსურს წარსულის გახსენებას მივუძღვნა, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) უფრო მძლავრად სცემდა სპორტული მაჯისცემა, რაც ამჟამად, ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, შესუსტებულია...

კარგად გვახსოვს, რომ არცთუ შორეულ წარსულში შეჯიბრებები ტარდებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, არა მარტო სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებელთა შორისაც. განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდა მინი საფეხბურთო ტურნირები – ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები დიდ ენერგიას აქსოვდნენ ყოველ მატჩში და შესანიშნავი თამაშით ამახსოვრებდნენ კიდეც თავს მაყურებელს...

მსურს ყველა მათგანის შესახებ აღვნიშნო – **სამკურნალო ფაკულტეტის** გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ – დეკანი **ნუკრი ნემსიწვერიძე**, ასევე: – **ნოდარ ბაქრაძე, სერგო თაბაგარი, გოგი სურგულაძე, გელა სულაბერიძე, გოჩა ინგოროყვა, ავთანდილ ისაკაძე, თამაზ ჩხიკვაძე და** გუნდის კაპიტანი **თემურ მახარაძე.**

პედიატრთა შორის გამოირჩეოდნენ – დეკანი **გივი ჟვანია**, ასევე: – **გედი გელბახიანი, ვოვა ზარდალიშვილი, დავით მანჯგალაძე, დავით ჩეკურიშვილი, გოგი ჩახუნაშვილი, მერაბ მაღლაკელიძე** და გუნდის კაპიტანი **ირაკლი ქართველიშვილი.**

სტომატოლოგიური ფაკულტეტი ასეთი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული: დეკანი **ავთანდილ საყვარელიძე**, ასევე – **ზურაბ საყვარელიძე, ზურაბ გვენეტაძე, კოკი კეკელიძე, ზურაბ ვადაჭკორია და** გუნდის კაპიტანი **დავით შენგელია.**

სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტიდან აქტიურობდნენ – დეკანი **გივი კვანჭახაძე** და მოთამაშეები: – **კუკური გიორგაძე, ალექსანდრე მთვარაძე, ავთანდილ მიქაბერიძე, ბიძინა ზურაშვილი, სოლომონ ნოზაძე, თამაზ გელოვანი** და გუნდის კაპიტანი **პავლე კასრაძე,** ფარმაცევტებიდან კი – დეკანი **რომან მახარაძე** და

მისი კოლეგები – **თამაზ მურთაზაშვილი, გია გერგიძე, ჯემალ მონიავა, ჯუმბერ კუჭუხიძე,** გუნდის კაპიტანი **– დავით ჯინჭარაძე.**

ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში თსსი-ის **ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრის** (გამგე, ბატონი **გიზო დოლიძე)** თაოსნობით, არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართებოდა პროფესორ-მასწავლებელთა, ასისტენტთა თუ ლაბორანტთა აქტიური მონაწილეობით, თავიანთ შესაძლებლობას რომ ცდიდნენ ჭადრაკსა და ნარდში, კალათბურთსა და ფრენბურთში, ჩოგბურთსა თუ ბადმინტონში, ცურვასა და მძლეოსნობაში... ამასთან, აღვნიშნავთ, რომ თავიანთი რექტორობის პერიოდში აქტიურობით გამოირჩეოდნენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები, ბატონები: **კონსტანტინე ვირსალაძე, ოთარ ღუდუშაური, არჩილ ასათიანი და რამაზ ხეცურიანი.**

ისევ ფეხბურთს მივუბრუნდები, როდესაც გადაწყდა პროფესორ-მასწავლებელთა ნაკრები გუნდი ჩამოგვეყალიბებინა, მწვრთნელ-მოთამაშის სტატუსი მე შევითავსე, გუნდის უფროსად **თამაზ გელოვანი** დაინიშნა, კაპიტნად — **ირაკლი ქართველიშვილი,** რომელიც შემდეგში **თემურ მახარაძემ** ჩაანაცვლა. მალე საფეხბურთო კლუბიც ჩამოვაყალიბეთ **გოგი ჩახუნაშვილის** პრეზიდენტობით; კლუბის სახელწოდებად **„მენედა“ („მედიცინა“, „ნექტარი“** და **„დასტაქარი“)** შეირჩა. მეამაყება იმის აღნიშვნა, რომ დაარსებიდან მალე, თსსი-ის პროფესორ-მასწავლებელთა საფეხბურთო ნაკრებმა რესპუბლიკის ანალოგიური სახის გუნდებს შორის პირველობა არავის დაუთმო, რაც გუნდის მთელი შემადგენლობის უდიდესი პასუხისმგებლობით, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით და საფეხბურთო დისციპლინით მიიღწეოდა. 1987 წელს, ჩვენმა გუნდმა, ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადაზე პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. შემდეგ კი არაერთი მატჩი გავმართეთ რესპუბლიკის ქალაქებში, რომლებიც, ძირითადად, ჩვენი გუნდის უპირატესობით სრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთის ნაკრების წევრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ გონიერებით, სწრაფი აზროვნებით და ხედვით, ბურთის გადაცემის კულტურით, ამიტომაც ხშირად გამარჯვებულნი ტოვებდნენ მოედანს.

გასული წლის დეკემბერში კი თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა მინი-საფეხბურთო ნაკრები 30 წლის გახდა, ამიტომ გვსურს გუნდის ვეტერანებს, ბატონებს: **დავით შენგელიას, თემურ მახარაძეს, პალიკო კასრაძეს, ზაურ ფხალაძეს, ვახტანგ ბაქანიძეს, ირაკლი ქართველიშვილს, მერაბ მაღლაკელიძეს, სოლომონ ნოზაძეს, დავით მანჯგალაძეს, მერაბ კოვზირიძეს, გოგი ჩახუნაშვილს, ავთო მიქაბერიძეს, თამაზ გელოვანს,** საიუბილეო თარიღი მივულოცოთ საუკეთესო სურვილებით.

სწორედ, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, **თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, ბატონი ზაურ ფხალაძის, თანადგომით და ჩვენი ინიციატივით,** გადაწყდა, აღნიშნული გუნდის ღვაწლმოსილი აქტიური მოთამაშეების, ბატონების – **თამაზ გელოვანის, ზურაბ გვენეტაძის** და **ჯემალ მონიავას** – სახელობის ტურნირი გაგვემართა სტუდენტებს შორის.

ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით წარიმართა, თსსუ-ის 8 საუკეთესო გუნდმა მიიღო მონაწილეობა; ფინალში გამარჯვებული გუნდები – **„ნიგერია“** და **„რეალი“** – შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც გამარჯვება ნიგერიელებმა მოიპოვეს; მათ გუნდში თსსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი **დავით შველიძე** და, ასევე, **ზვიად ბლიაძე** თამაშობდნენ. ტურნირის საუკეთესო მეკარედ **გიორგი კიკნაძე** დაასახელეს **(„რეალი“),** საუკეთესო ფეხბურთელად – **კლიფ-ნჯაჰვერეოვაჯი,** ხოლო ბომბარდირად – **ერხან ჩეთინი** (7 ბურთის ავტორი).

ტრადიცია გრძელდება. იმედია, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები არაერთ სასახელო ფურცელს ჩაწერენ საუნივერსიტეტო სპორტის ისტორიაში.

ვახტანგ ბაქანიძე,
თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი-მოთამაშე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე